ინფორმაციის თავისუფლების განვითრების ინსტიტუტი (IDFI)

"საქართველო მთავრობის სხდომის ღიაობა ანუ საქართველოს მთავრობის „ჩრდილიდან" გამოყვანის საჭიროება"

კონსტანტინე ჯანჯღავა, 2012

(საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის ურთიერთშედარება)

წინამდებარე კვლევა ეხება მთავრობის სხდომის ღიაობის ცნებასა და პრაქტიკას. მთავარი კითხვა, რომელიც მოითხოვს პასუხის გაცემას მდგომარეობს შემდეგში: *„უნდა იყოს თუ არა საქართველოს მთავრობის სხდომები როგორც წესი ღია?"*

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიშველიო საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი. აღნიშნული პრაქტიკა ზოგადად ასახავს მთავრობის სხდომათა ღიაობის მიმართ კანონმდებლის, და შესაბამისად, ერის მიდგომასაც.

მთავრობის სხდომის ღიაობა - საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოში, მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით, მთავრობის სხდომა შეიძლება გამოცხადდეს საჯაროდ[1].

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები [2] , გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავი უნდა აარიდოს პერსონალურ მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნებას.

როგორც ირკვევა, საქართველოს მთავრობას გააჩნია თავისუფლება საკუთარი სხდომა გამოაცხადოს საჯაროდ. ამასთან, ეს შემთხვევა მიჩნეულ იქნება ზოგადი წესიდან გამონაკლისად. იგივე სიტუაციას ვაწყდებით აჭარის [3] და აფხაზეთის [4] ავტონომიური რესპუბლიკების მაგალითზე.

საინტერესო საკითხს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის კოლეგიურ საჯარო დაწესებულებად მიჩნევა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, *„კოლეგიური საჯარო დაწესებულება არის **საჯარო დაწესებულება,** რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და*

[1] საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“. მუხ. 12 (5).
[2] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხ.32.
[3] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“. მუხ. 16 (5).
[4] აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის დადგენილება N12 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“. მუხ. 19 (3).

რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს.[5] " თავის მხრივ, „*საჯარო დაწესებულება არის* ***ადმინისტრაციული ორგანო****, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.*[6]" ხოლო ადმინისტრაციული ორგანო არის „***ყველა სახელმწიფო*** *ან ადგილობრივი თვითმმართველობის* ***ორგანო*** *ან* ***დაწესებულება****, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.*[7]"

საქართველოს მთავრობა, როგორც სათათბირო ფუნქციების მატარებელი ორგანო შედგება ერთზე მეტი პირისგან, ხოლო გადაწყვეტილებები მის სხდომებზე მართლაც ერთობლივად მიიღება[8]. ამ ლოგიკით, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი სხდომების ღიად და საჯაროდ წარმართვის ვალდებულება საქართველოს მთავრობაზე, მის კოლეგიურ საჯარო დაწესებულების მიჩნევის პირობებში, მოკლებულია რეგულირების შესაძლებლობას. კერძოდ, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან თანხვედრაში მყოფი ჩანაწერი იქნებოდა: „საქართველოში, მთავრობის სხდომა, როგორც წესი, ღიაა, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.[9]" თუმცა პრაქტიკაში, წესი სრულიად საწინააღმდეგოა.

---

[5] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხ.27 (ბ).

[6] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხ.27 (ა).

[7] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხ.2 (1)(ა).

[8] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის დადგენილება N313 "საქართველოს მთავრობის რეგლამენტის წესის დამტკიცების შესახებ". მუხ. 24 (1).

[9] საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების შემთხვევები (ავტორის შენიშვნა).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონი, ორივე საქართველოს კანონებია, შესაბამისად მათ ორივეს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს[10]. **შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება საქართველოში მთავრობის სხდომათა დახურულ წესს.**

მთავრობის სხდომის ღიაობა - ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა

ძირითადი აქტი, რომელიც არეგულირებს სხდომათა ღიაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ე.წ. **“Government in the Sunshine Act”**[11] - რომლის მიახლოებული თარგმანიც შეიძლება იყოს - „მთავრობის გამომზეურების აქტი“ ანდა „მთავრობა მზის შუქში“. ამ აქტის თანახმად, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სამთავრობო სააგენტოების ნებისმიერი სხდომის ნაწილი ღიაა საზოგადოებისათვის. ხსენებული გამონაკლისები ათს ითვლის:

- ინფორმაცია დაკავშირებული ეროვნულ უსაფრთხოებასთან;
- ინფორმაცია დაკავშირებული შიდა საშტატო წესებთან და პრაქტიკასთან;
- ნებისმიერი დახურული ინფორმაცია, რომელიც სხვა კანონმდებლობიდან გამომდინარეობს;

[10] საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. მუხ. 7 (8).

[11] ა.შ.შ.-ს კანონთა კოდექსი. თავი V. პარაგრაფი 552(b). http://www.justice.gov/archive/oip/gisastat.pdf

- პირის სავაჭრო ან კომერციული საიდუმლოება ან ფინანსური ინფორმაცია, მიჩნეული კონფიდენციალურად ან პრივილეგირებულად;
- პირის ბრალდებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც დაკავშირებულია პირადი ცხოვრების საიდუმლოების გამხელის რისკთან;
- ინფორმაცია დაკავშირებული საქმის ძიების მასალებთან, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გამოძიებაზე;
- ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც დაკავშირებულია ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის სტაბილური საქმიანობის შერყევის რისკთან ან გამოიწვევს ფინანსური ხასიათის სპეკულაციებს;
- ინფორმაცია დაკავშირებული ფინანსური ინსტიტუტების საზედამხედველო საქმიანობის დროს არსებულ ანგარიშებთან, რომელიც შეიცავს ფინანსური ინსტიტუტის სტაბილური საქმიანობის შერყევის რისკს ან გამოიწვევს ფინანსური ხასიათის სპეკულაციებს;
- ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სააგენტოს მონაწილეობასთან სასამართლო პროცესებში.

შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ენიჭება მთავრობის ორგანოთა სხდომათა ღია წესს, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით.

ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატების იურიდიულ სამყაროში ცნობილმა გამოცემამ „Harvard Law Review“, თავის დროზე, სტატიაში სათაურად “*Open Meeting Statutes: The Press Fights for the Right To Know*”, დაადგინა ექვსი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს სამთავრობო საჯარო დაწესებულებათა სხდომები ღია:

1. *საჯარო სხდომები უზრუნველყოფენ საჯარო ცნობიერების გამყარებას, რაც ძირეულია დემოკრატიული პროცესებისათვის; სხდომაზე დამსწრე პირთა*

თუნდაც ძალზე მცირე რაოდენობის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ პირთა მიერ ინფორმაციის ფართო აუდიენციაზეც გავრცელება[12]*;*

2. *საჯარო ხარჯების შესახებ გადაწყვეტილებები ღიად უნდა მიიღებოდეს, რათა საზოგადოებას მიეცეს საშუალება უშუალოდ დააკვირდეს თუ როგორ იხარჯება საზოგადოების სახსრები;*
3. *მთავრობის წევრების რეაგირების ხარისხი საზოგადოების მიმართ უმჯობესდება, როდესაც სხდომებზე საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობა არსებობს;*
4. *საზოგადოების იმ წევრებს, რომლებსაც გააჩნიათ სპეციფიური ცოდნა ამა თუ იმ დარგის საკითხთან მიმართებაში, ეძლევათ საშუალება შეამცირონ ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს გაუგებრობის რისკი, რაც თავის მხრივ აგრეთვე წარმოადგენს თანამდებობის პირების მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების წყაროს;*
5. *თუ რთულ და კომპლექსურ საკითხებთან მიმართებაში ამაღლდება მოქალაქეთა ცნობიერება, არსებობს შესაძლებლობა, რომ ისინი უფრო გაგებით მოეკიდებიან თავდაპირველად მათთვის მიუღებელ პოლიტიკის საკითხებს;*
6. *სხდომათა საჯაროობა ხელს უწყობს მთავრობის საქმიანობის ანგარიშვალდებულების დონის ამაღლებას.*

ამავე სტატიაში, დადგენილია ის მიზეზებიც, რომლებიც სხდომის საჯაროდ ჩატარებისათვის შემაფერხებელ და უარყოფით ფაქტორებად შეიძლება მოაზრებულ იქნას:

1. *რიგ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ზოგჯერ საჭიროა საზოგადოების*

[12] გასათვალისწინებელია, რომ სტატია 1962 წელს დაიწერა. სამთავრობო სხდომებზე მიღებული ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი თანამედროვე საშუალებაა ე.წ. „ელექტრონული სხდომები“, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მცირე აუდიენციის მიერ ინფორმაციის ფართო აუდიენციაზე უშუალოდ გავრცელების მექანიზმის ეფექტურობას 21-ე საუკუნეშიც (ავტორის შენიშვნა).

წნეხისგან თავისუფალი გარემო[13];

2. *არსებობს ალბათობა, რომ საჯარო სხდომებზე თანამდებობის პირები გრძელი და რიგ შემთხვევებში, დროის მფლანგველი სიტყვებით გამოვლენ;*
3. *მმართველობის ქვედა რგოლის წარმომადგენლებისათვის საჯარო სხდომების ღიაობა შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები საჯაროდ შეეწინააღმდეგნენ ამა თუ იმ პროგრამას თუ პოლიტიკის გამოხატულებას, ხოლო საბოლოო ჯამში მათვე უწევთ ამ პოლიტიკის ადმინისტრირება;*
4. *არსებობს პოზიციების სიმყარის შესუსტების რისკი თანამდებობის პირების მიერ საჯარო გამოსვლების შემთხვევაში;*
5. *პრესის მიერ ინფორმაციის სენსაციური ელფერით წარმოჩენის თვისება და მხოლოდ იმ საკითხების ხაზგასმის მიდრეკილება, რომლებმაც დისკუსია გამოიწვიეს[14].*

როგორც ირკვევა, უკვე მრავალი წლის განმავლობაში, სამთავრობო ორგანოთა სხდომების ღიაობის საჭიროება, და ასევე პრაქტიკაც, უდავოდაა მიჩნეული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა ცხადჰყობს ამ პრაქტიკის სარგებლისა და უარყოფითის შეპირისპირების კონსესუსს. მიმაჩნია, რომ ამავე ლოგიკით უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაშიც.

---

[13] ერთ-ერთ მაგალითად მითითებულია კონსტიტუციური განხილვის "საიდუმლოდ შენახვის" აშშ.-ს ისტორიული წესი (ავტორის შენიშვნა).

[14] Suzanne J. Piotrowski. *An Analytic Framework for Open Meetings and Transparency*. გვ. 142. http://www.spaef.com/file.php?id=1129%20.

მთავრობის სხდომის ღიაობისაკენ მიმართული კონკრეტული ნაბიჯები ამერიკის შეერთებულ შტატებში

საინტერესოდ მიმაჩნია აგრეთვე მოკლედ განვიხილო რიგი კომპონენტები, რომლებიც ამერიკის შეერTებულ შტატებში საჯარო დაწესებულებათა სხდომების ღიაობის პრიორიტეტისაკენ გადადგმულ ნათელ მაგალითებს იძლევიან.

აშშ-ს 50 შტატი და 1 ფედერალური ოლქი, იქნება ეს სამთავრობო ორგანოების მარეგულირებელი „ღია სხდომების კანონები“ თუ „ღია ჩანაწერების კანონები“, ითვალისწინებს მთავრობის ორგანოთა სხდომებზე დასწრების უფლებას და ჩანაწერებზე წვდომას, მკაფიოდ განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, რომლებზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ხსენებული პრინციპის ამოსავალი წერტილია, აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც ადგენს ამერიკელი ხალხის უფლებას მიმართონ პეტიციით მთავრობას, მის მიერ ხალხის კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის შემთხვევაში. ღია სხდომებისა და ჩანაწერების მარეგულირებელ ინფორმაციის თავისუფლების აქტის თავისებურ ვარიაციებს კლასიფიცირებული სახით შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ბმულზე: http://www.nfoic.org/state-freedom-of-information-laws

ღია მმართველობის კონცეფციის საინტერესო კომპონენტს წარმოადგენს ე.წ. „ელექტრონული სხდომები“. აშშ-ს 25 შტატის კანონმდებლობა ითვალისწინებს ტელე- ან ვიდეო კონფერენციით სხდომათა ჩატარების შესაძლებლობას, თუმცა არსებობს რიგი გამონაკლისი პირობებიც. მაგალითად, ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კანონმდებლობის თანახმად საჯარო დაწესებულების მიერ გამართულ ამგვარ კონფერენციათა მონაწილეთათვის შეიძლება დაწესდეს 25 დოლარამდე გადასახადი, ნებრასკას შტატის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ტელე კონფერენციებს, თუმცა ითვალისწინებს ვიდეო კონფერენციებს, მაგრამ მხოლოდ

შტატის დონეზე არსებულ საჯარო დაწესებულებათა შემთხვევაში, ნიუ ჯერსის შტატის კანონმდებლობა ითვალისწინებს სხდომის გამართვას „საკომუნიკაციო აღჭურვილობის“ გამოყენებით, თუმცა ბუნდოვნად ტოვებს ტელე- ან ვიდეო-კონფერენციების გამართვის შესაძლებლობას ხსენებული ტერმინის კონტექსტში *და ა.შ.*[15]

ღია მმართველობის სხვა კომპონენტებისაგან აღსანიშნავია შეტყობინებისა და დღის წესრიგის მიწოდების პრაქტიკა. თუ საზოგადოება არ იქნება ჯეროვნად ინფორმირებული, მის წევრებს არ ექნებათ შესაძლებლობა დაესწრონ სხდომებს, ხოლო დღის წესრიგის არარსებობისას შეუძლებელია იმის გაგება, თუ რა განიხილება სხდომებზე, რაც ჯამში ადაბლებს მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს. მაგალითად, მომავალი სხდომის ჩატარების შესახებ შეტყობინების წინასწარ გამოქვეყნების ვალდებულებას სხდომის ჩატარებამდე 1-დან 5 დღემდე ვადით ითვალისწინებს არიზონას, კალიფორნიის, აიდაჰოს, ტექსასის, ნევადას, ნიუ ჰემფშირის *და ა.შ.* შტატების შესაბამისი კანონები, ექვსი ან მეტი დღით ადრე - ნიუ იორკის, ჰავაის და დელავერის შესაბამისი კანონები. რაც შეეხება დღის წესრიგის მიწოდებას, იუტას შტატის კანონმდებლობა ითვალისწინებს, როგორც 24 საათიან წინასწარ შეტყობინებას, აგრეთვე მომავალი სხდომის დღის წესრიგის მიწოდების ვალდებულებას, ხოლო შეტყობინების სახით დღის წესრიგის გამოქვეყნებას კონექტიკუტის, კენტუკის, ლუიზიანას, ოკლაჰომას, ნიუ ჯერსის, ჩრდილოეთ კაროლინას, სამხრეთ კაროლინას, როდ აილენდის, პენსილვანიის და მერილენდის შტატების შესაბამისი კანონები[16].

ღია მმართველობის კონცეფციის მნიშვნელოვან კომპონენტს აგრეთვე წარმოადგენს საჯარო კომენტირების ანუ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის პრაქტიკაც. მართალია 41

---

[15] Suzanne J. Piotrowski. *იქვე. გვ. 157.*

[16] Suzanne J. Piotrowski. *იქვე. გვ. 166.*

შტატის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხსენებულს საჯარო დაწესებულებათა სხდომებთან მიმართებაში, თუმცა ათი შტატი მაინც იძლევა ამის საშუალებას. მაგალითად, მინესოტას, ნიუ მექსიკოს და სამხრეთ კაროლინას შტატების კანონები საჯარო დაწესებულებას ანიჭებენ დაინტერესებული პირისათვის საჯარო კომენტირების უფლების მიცემის დისკრეციას, მაშინ როდესაც ნიუ ჯერსის შტატის კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა საჯარო დაწესებულებას გამოყონ გარკვეული დრო საჯარო კომენტირებისათვის, „როდესაც, სამთავრობო საკითხი შეიძლება ინტერესის საგანს წარმოადგენდეს მოქალაქეთათვის". ზოგ შტატებში საჯარო კომენტირება იზღუდება დროით, ზოგ შტატში კი დღის წესრიგში მოქცეული საკითხებით[17].

მთავრობის სხდომის ღიაობა - რეკომენდაციები საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

საქართველოში მთავრობის სხდომათა ღიაობის საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად, მიზანშეწონილია საქართველოს კანონმდებლობაში (მათ შორის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის სამართლებრივ აქტებში) შემდეგი ცვლილება-დამატებების განხორციელება:

- შეიცვალოს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლში მოყვანილი ჩანაწერი - „მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით მთავრობის სხდომა შეიძლება გამოცხადდეს საჯაროდ" შემდეგ ჩანაწერზე:
  „მთავრობის სხდომა, როგორც წესი, საჯაროა. კანონით გათვალისწინებულ

[17] Suzanne J. Piotrowski. *იქვე. გვ. 156.*

საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, მთავრობის სხდომა შეიძლება გამოცხადდეს დახურულად.“

- შესაბამისობაში იქნას მოყვანილი შემოთავაზებულ ჩანაწერთან საქართველოს მთავრობის რეგლამენტი, აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამართლებრივი აქტები;
- ხაზგასმულ იქნეს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომ მთავრობა, წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად განსაზღვრულ კოლეგიური საჯარო დაწესებულებას და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის 32-ე მუხლის (სხდომათა საჯაროობა) მოთხოვნები;
- სასურველია საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით მოწესრიგებულ იქნეს ელექტრონულ სხდომათა შესაძლებლობა, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით;
- სასურველია მთავრობის რეგლამენტის 22-ე მუხლის („მთავრობის სხდომაზე დასწრება“) მე-3 პუნქტში მოყვანილი ჩანაწერი „პრემიერ-მინისტრის ან უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, მთავრობის სხდომას შეიძლება დაესწრონ სხვა პირებიც“ დაკონკრეტდეს შემდეგი დამატებით: „მათ შორის, კონკრეტული საკითხის გაnხილვაზე დასასწრებად და სიტყვით გამოსასვლელად რეგისტრირებულ პირთა შერჩეული წრე“.
- სასურველია მოწესრიგებულ იქნეს საჯარო კომენტირების პრაქტიკა.

დაინტერესებულ პირთათვის სხდომაზე სიტყვის გამოსვლით რეგისტრაცია, გარკვეული წესის დაცვით, არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას[18];

- სასურველია მოწესრიგებულ იქნეს საჯარო სხდომათა შეტყობინებისა და დღის წესრიგის მიწოდების პრაქტიკა, მათ შორის მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების ჩათვლით. მომავალი მორიგი, რიგგარეშე ან საგანგებო სხდომების შესახებ შეტყობინებები რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს. სხდომების ჩატარებამდე სასურველია ქვეყნდებოდეს დღის წესრიგიც. ამასთან, სასურველია განისაზღვროს ვადები საჯარო სხდომათა შეტყობინებისა და დღის წესრიგის გამოქვეყნებისათვის;
- სასურველია აგრეთვე დამუშავებულ და მოწესრიგებულ იქნეს, ჩვეულებრივ სხდომების ოქმების წარმოებასთან ერთად, ელექტრონულ სხდომათა ოქმების წარმოებისა და გამოქვეყნების წესი.

დასკვნის სახით

„უნდა იყოს თუ არა საქართველოს მთავრობის სხდომები როგორც წესი ღია?“ - აღნიშნულ კითხვაზე პასუხი გადაჭრით დადებითია. საქართველოს მთავრობა წარმოადგენს იმ კოლეგიურ ორგანოს, რომლის სხდომების ღიაობის დაშვებაც დემოკრატიული სახელმწიფოს მაღალი სტანდარტზე იმეტყველებს. როდესაც ამ სტანდარტზე ვსაუბრობთ უნებურად გვახსენდება ამერიკის შეერთებული შტატები. საქართველოში მთავრობის სხდომების ღიაობისაკენ მიმართული ნაბიჯები, არ უნდა

[18] შესაძლებელია იმ სახის მოდელის შემოთავაზება, როდესაც კონკრეტული თემატიკის საკითხის განხილვისას გამოცხადებულ დღის წესრიგის დროს, დარეგისტრირებულ პირთა შორის მოხდება მათი „გაცხრილვა“ გარკვეული ნიშნით მაგ. საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა, კვალიფიკაცია, რეპუტაცია *და ა.შ.* თუმცა აღნიშნული შეიძლება აგრეთვე აღქმულ იქნეს შეზღუდვად და შესაბამისად, არადემოკრატიულ პრაქტიკად, რაც მოწმობს საკითხის შემდგომი დამუშავების საჭიროებაზე (ავტორის შენიშვნა).

წარმოადგენდეს აშშ-ს ღია მმართველობის სტანდარტის ბრმა კოპირებას, არამედ უნდა გვევლინებოდეს საუკეთესო პრაქტიკიდან შერჩეული კომპონენტების ჰარმონიულ ინტეგრირებას საქართველოს რეალობაში. ვფიქრობ, რომ წინამდებარე კვლევაში მოყვანილი მსჯელობა ადასტურებს იმ კონკრეტული გზების არსებობას, რომლებიც იძლევიან საქართველოს მთავრობის ხალხისადმი ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის შესაძლებლობას.

საქართველოს მთავრობაზე, როგორც კოლეგიურ დაწესებულებაზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განმტკიცებულ სხდომათა საჯაროობის მკაფიო ვალდებულების დაკისრება, საზოგადოებისათვის მთავრობის სხდომათა დახურულად გამოცხადების კონკრეტული შემთხვევების საკანონმდებლო განწერა, ღია მმართველობის ისეთი კომპონენტების დანერგვა, როგორებიცაა - „ელექტრონული სხდომები," საჯარო კომენტირება, საზოგადოებისათვის საჯარო სხდომათა შეტყობინება და დღის წესრიგის მიწოდება, აგრეთვე ელექტრონულ სხდომათა ოქმების წარმოება და გამოქვეყნება შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს ღონისძიებათა იმ კომპლექსად, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სხდომათა ღიაობისაკენ გადადგმულ საწყის ნაბიჯს.

რაც შეეხება ამჟამად არსებულ რეალობას - ზემოთ მოყვანილი მსჯელობა უპირისპირდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც საქართველოში, მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია.